

1) საშლელი 21 თეთრი ღირს, ფანქარი კი – 12 თეთრი. ნათიამ ერთი საშლელი და ერთი ფანქარი იყიდა. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*



ა) რა ღირს საშლელი?

- 1) 33 თეთრი 2) 21 თეთრი 3) 12 თეთრი



ბ) რა ღირს ფანქარი?

- 1) 33 თეთრი 2) 21 თეთრი 3) 12 თეთრი



გ) რამდენი თეთრი გადაიხადა ნათიამ სულ?

- 1) 12 თეთრი 2) 24 თეთრი 3) 33 თეთრი

2) საკლასო ოთახში 8 სკამი იყო. 2 სკამი შესაკეთებლად წაიღეს. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*



ა) რამდენი სკამი იყო საკლასო ოთახში?

- 1) 10 სკამი 2) 8 სკამი 3) 6 სკამი



ბ) რამდენი სკამი წაიღეს შესაკეთებლად?

- 1) 2 სკამი 2) 6 სკამი 3) 8 სკამი



გ) როგორ შეიცვალა სკამების რაოდენობა საკლასო ოთახში?

- 1) გაიზარდა 2-ით 2) შემცირდა 2-ით 3) შემცირდა 6-ით

3) სანდრომ დაასახელა რიცხვი 20. ლევანმა დაასახელა სანდროს მიერ დასახელებული რიცხვის წინა რიცხვი. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*



ა) რა რიცხვი დაასახელა სანდრომ?

- 1) რიცხვი 19 2) რიცხვი 20 3) რიცხვი 21




ბ) რა რიცხვი დაასახელა ლევანმა?

- 1) რიცხვი 19 2) რიცხვი 20 3) რიცხვი 21



გ) რას უდრის სანდროს და ლევანის მიერ დასახელებული რიცხვების ჯამი?

5) 4) რა უნდა ეხატოს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



7) 5) რომელ ქოთანშია ყველაზე მეტი წითელი ყვავილი?



- 1) წითელ ქოთანში 2) ყვითელ ქოთანში 3) ლურჯ ქოთანში 4) მწვანე ქოთანში

8) 6) მაგიდაზე 1 მსხალი, 1 ვაშლი და 1 ატამი იდო. სალომემ რომელიღაც 2 ხილი აიღო. ცნობილია, რომ სალომემ აიღო ვაშლი, მაგრამ არ აუღია ატამი. რომელი 2 ხილი აიღო სალომემ?



- 1) მსხალი და ვაშლი 2) მსხალი და ატამი 3) ვაშლი და ატამი

10) 7) წითელ ქილაში 3 ლიტრი რძე იყო, ყავისფერ ქილაში – 4 ლიტრი. ერთ-ერთი ქილიდან გადმოასხეს 2 ლიტრი რძე, რომელშიც დარჩა 2 ლიტრი რძე. რომელი ქილიდან გადმოასხეს რძე?

- 1) წითელი ქილიდან 2) ყავისფერი ქილიდან 3) ლურჯი ქილიდან

მათემატიკური ოლიმპიადა „ევერესტი“ 12 წლისაა!
 მადლობას გიხდით, რომ ირჩევთ ჩვენს
 ოლიმპიადას!

